[მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი]

[41-ე სესია, კრაკოვი, 2017]

გადაწყვეტილება: 41 COM 8B.31

გელათის მონასტერი (საქართველო)

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა,

1. **განიხილა** დოკუმენტი WHC/17/41.COM/8B.Add და WHC/17/41.COM/INF.8B1.Add,
2. **ითვალისწინებს რა** 37-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები **37 COM 7A.32,** (პნომ პენი, 2013), რომელიც სახელმწიფო მხარისგან მოითხოვს, 2014 წლის 1 თებერვლამდე წარმოადგინოს მოთხოვნა ობიექტის საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილებაზე გელათის მონასტრის მიერ კრიტერიუმის ცალკე დაკმაყოფილების მიზნით“,
3. **ამტკიცებს** საზღვრების მნიშვნელოვან ცვლილებას, ამოღებული იქნას ბაგრატის საკათედრო ტაძარი და შეიცვალოს როგორც გელათის მონასტერი, საქართველო
4. **ამტკიცებს** ზოგად საკაცობრიო ღირებულების შემდეგ განაცხადს:

მოკლე შეჯამება

ჩრდილოეთ კავკასიის მთების ქვედა სამხრეთ ფერდობებზე გელათის მონასტერი ასახავს შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანას“, პოლიტიკური სიძლიერისა და ეკონომიკური ზრდის პერიოდს მეფე დავით IV-ე აღმაშენებლის (1089-1125) და თამარ დედოფლის (1184-1213) მეფობის ეპოქაში. სწორედ დავით აღმაშენებელმა წამოიწყო 1106 წელს მონასტრის მშენებლობა ქვეყნის დედაქალაქ ქუთაისის სიახლოვეს, ტყით დაფარულ ბორცვზე, მდინარე წყალწითელას თავზე. ძირითადი ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1130 წელს, დავითის ვაჟისა და მისი მემკვიდრის დემეტრეს მეფობის პერიოდში. მონასტრის სხვა ეკლესიები კომპლექსს შეემატა მეცამეტე საუკუნის განმავლობაში და მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში. მონასტერი მდიდრულად არის მორთული მეთორმეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე პერიოდის კედლის მხატვრობით, ასევე მე-12 საუკუნის მოზაიკით, რომელიც მდებარეობს ძირითადი ტაძრის აფსიდაში, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და ორივე მხარეს მდგომი მთავარანგელოზები. ძეგლში მაღალი არქიტექტურული ხარისხის, გამორჩეული მორთულობის, ზომის და ნათელი სივრცული დაგეგმარების კომბინაცია გამოხატავს საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურის სამხატვრო იდიომას; ამასთან, ძეგლის თითქმის ხელუხლებელი გარემო იძლევა არქიტექტურისა და ლანდშაფტის შერწყმის აღმის შესაძლებლობას.

გელათი არ წარმოადგენდა მხოლოდ მონასტერს: იგი ასევე წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების ცენტრს; ამასთან, გელათში ჩამოყალიბებული აკადემია წარმოადგენდა ძველ საქართველოში კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს. მეფე დავითმა აკადემიაში თავი მოუყარა გამოჩენილ ინტელექტუალებს, როგორიცაა იოანე პეტრიწი, ნეო-პლატონური ფილოსოფოსი, რომელიც კარგად არის ცნობილი პროკლეს ნაშრომების თრგმანით, და არსენ იყალთოელი, განსწავლული ბერი; მის მიერ თარგმნილი დოქტრინული და პოლემიკური ნაშრომები გაერთიანებული იქნა დოგმატიკონში ანუ სწავლებების წიგნში, რომელიც ავლენდა არისტოტელიანიზმის გავლენას. გელათში ასევე ფუნქციონირებდა სკრიპტორიუმი, სადაც მონასტრის გადამწერები (მწიგნობრები) ახდენდნენ ხელნაწერების ასლების დამზადებას (თუმცა მისი მდებარეობა უცნობია). აქ შექმნილი რამდენიმე წიგნიდან ყველაზე ცნობილია მდიდრულად გაფორმებული მე-12 საუკუნის სახარება, რომელიც ინახება ხელნაწერების ეროვნულ ცენტრში

როგორც სამეფო მონასტერი, გელათი ფლობდა დიდ მიწებს და იღებდა მრავალრიცხოვან ხატებს შემოწირულობის სახით, ოქროზე გამოხატული კარგად ცნობილი ღვთისმშობლის ხახულის ხატის ჩათვლით (ამჟამად განთავსებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში) და თავისი ფუნქციონირების პიკში ასახავდა აღმოსავლეთ ქრისტიანობის ძალაუფლებასა და მაღალი დონის კულტურას.

კრიტერიუმი (iv): გელათის მონასტერი წარმოადგენს საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურის შედევრს და საუკეთესოდ წარმოადგენს არქიტექტურულ სტილს, რომელიც ხასიათდება გლუვად გამოთლილი დიდი ლოდებით მოპირკეთებით, სრულყოფილად დაბალანსებული პროპორციებით, და ექსტერიერის მორთვით დეკორატიული (ყრუ) თაღებით. მონასტრის მთავარი ეკლესია წარმოადგენს ჯვარულ-გუმბათოვანი არქიტექტურული ტიპის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშს, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობდა აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურაში მეშვიდე საუკუნის შემდეგ. გელათი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს შუა საუკუნეების მართლმადიდებლურ მონასტერს, რომელიც გამოირჩევა ჰარმონიული თანაარსებობით ბუნებრივ გარემოსთან და კარგად გააზრებული დაგეგმარების კონცეფციით.

გელათის მონასტრის მთავარი ეკლესია წარმოადგენს უფრო ფართე, აღმოსავლეთ აზიის მცირე და დიდი კავკასიონის ისტორიული რეგიონის ერთადერთ შუა საუკუნეების ძეგლს, რომელსაც კვლავ გააჩნია კარგად შენარჩუნებული მოზაიკური მორთულობა, რომელიც შეიძლება შედარდეს საუკეთესო ბიზანტიურ მოზაიკებს, ამასთან გააჩნია საქართველოში შუა საუკუნეების აღმოსავლეთ მართლმადიდებლური ეკლესიის, გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის მხატვრობის ანსამბლი, რაც მოიცავს 40-ზე მეტ მეფეების, დედოფლების, მაღალი სასულიერო პირების პორტრეტებს და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ყველაზე ადრეულ გამოსახულებებს.

<u>მთლიანობა</u>

მონასტრის მთელი კომპლექსი შეტანილია ნომინირებული ობიექტის ფარგებში და მოიცავს მეთორმეტე საუკუნის ყველა ძირითად შენობას, ასევე მეცამეტე საუკუნეში დამატებულ შენობებსაც; არეალში წარმოდგენილი და მოცულია გამორჩეული უნივერსალური ღირებულების გამოსახატავად აუცილებელი ყველა ატრიბუტი. საუკუნეების მანძილზე არ დაკარგულა მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის მონასტრის თავდაპირველი მნიშვნელოვანი თავისებურებები და მისი ლანდშაფტური გარემო ძირითადად ხელუხლებელია. ყველა შენობა არ ხასიათდება კონსერვაციის კარგი მდგომარეობით.

არსებობს განაშენიანებასთან დაკავშირებული გარკვეული ზემოქმედება ბუფერულ ზონასა და უფრო ფართე გარემოცვაში, მაგრამ საშიშროების დონე დაბალია და პროცესები ამჟამად კონტროლის ქვეშაა.

<u>აუთენტურობა</u>

საერთო ჯამში, არქიტექტურული ფორმები, სივრცული დაგეგმარება და დეკორაციები სრულად გადმოსცემს მათ ღირებულებას. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კედლის მხატვრობის დიდი ნაწილი კონსერვაციის ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სახურავების შეკეთების შემდეგ შენელდა დეგრადაციის პროცესი, ამასთან, განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოები. თუმცა კედლის მხატვრობის ნაწილი კვკავ მოწყვლად მდგომარეობაშია.

ერთი არეალი, სადაც ადგილი აქვს აუთენტურობის დაკარგვას, არის აკადემიის შენობა. ნუსხაში შეყვანის მომენტში, 1994 წელს აკადემიის შენობა, როგორც ანსამბლის ნაწილი, წარმოადგენდა სახურავის გარეშე ნანგრევებს. 2009 წელს მოხდა ნანგრევების ხელახალი გადახურვა და ინტერიერის ფორმების შეცვლა.

ფართე ბუფერული ზონა იძლევა შემოსაზღვრულ მონასტერსა და მის ბუნებრივ გარემოს შორის ჰარმონიის სრულყოფილად აღქმის საშუალებას.

<u>მართვისა და დაცვის საჭიროებები</u>

გელათის მონასტერისწარმოადგენს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლს უკვე საბჭოთა პერიოდიდან. იგი 2006 წელს იქნა შეტანილი საქართველოს ძეგლების ეროვნულ რეესტრში პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე. კულტურული დამცავი ტერიტორია გაიზარდა და გასცდა გელათის მონასტერს და მოიცვა ბუფერული ზონა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის ბრძანებულების საფუძველზე. ბუფერული ზონა დაცულია ძეგლებისა და დამცავი რეჟიმების კოტექსტში. გარემომცველი ლანდშაფტის ბუნებრივი ღირებულების კონსერვაცია და დაცვა რეგულირდება საქართველოს ტყის კოდექსით, კანონით ნიადაგის დაცვის შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ კანონით და კანონით წყლის შესახებ, რაც ქმნის განხილულ ტერიტორიაზე ტყეებისა და მდინარეების მართვის საკანონმდებლო ბაზას. ბუფერული ზონის ფარგლებში ახალი მშენებლობების ან რეკონსტრუქციების შესახებ, ინფრასტრუქტურული ან მიწის სამუშაოების ჩათვლით, განაცხადები საჭიროებს დამტკიცებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცული ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის განყოფილება - მხრიდან.

კონსერვაციის სამუშაობი იმართება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიის თანამშრომლობით შემუშავებული გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმის შესაბამისად. ხსენებული გეგმა მოიცავდა როგორც აშენებული სტრუქტურების კონსერვაციას, ასევე წინადადებებს მონასტრული ცხოვრების აღდგენის მხარდაჭერის წინადადებებს, რომელიც 1990-იანი წლებიდან აღდგა, და ვიზიტორების საჭიროებებს. ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ადექვატური რესურსები გრძელვადიანი კონსერვაციის პროგრამებისთვის. ასევე დასანერგია კონსერვაციისა და რესტავრაციის ყველა სამუშაოების დოკუმენტირების, ასევე სამ-განზომილებიანი გაზომვისა და მონასტრის სხვასხვა შენობის ზოგადი სტაბილობის მონიტორინგის სისტემები.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიის მართლმადიდებლურ ეკლესიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის შეთანხმდა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ეხება ეკლესიის ყველა ქონებას. ძეგლის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს მონასტრის თემი, რომელიც მონასტერში ცხოვრობს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახორციელებს გრძელვადიან ინტერვენციებს. სააგენტოს ადგილობრივი წარმომადგენლობითი სააგენტო არის ქუთაისის ისტორიულ- არქიტექტურული მუზეუმი-ნაკრძალი, რომელიც ასევე პასუხს აგებს ვიზიტორების მიღებაზე.

2017-2021 წლების მართვის გეგმა ასახავს ეკლესიის და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების და საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონსულტაციების პროცესში. მიზანს წარმოადგენდა ობიექტის შესახებ გაზიარებული ხედვის ჩამოყალიბება. მართვის გეგმა შემუშავებულ იქნა შესწორებული კონსერვაციის გენერალური გეგმის, ასევე იმერეთის ტურიზმის მართვის სტრატეგიისა და იმერეთის დაცული ტერიტორიების მართვის 2014 წლის გეგმის, რომელიც მოიცავს ბუფერულ ზონაში მდებარე მდინარე წყალწითელას ხეობასა და კანიონს, გათვალისწინებით. მართვის გეგმა საჭიროებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებას, რათა გახდეს სრულად ოპერაციული და აღსრულებადი სამინისტროს მიერ. ჯერ კიდევ არ არის დანიშნული ობიექტის მართვის კომიტეტი, კომიტეტი კი აუცილებელია ძირითადი როლებისა და პასუხისმგებლობების განსასაზღვრავად.

5. <u>**მოუწოდებს**</u> სახელმწიფო მხარეს გაითვალისწინოს შემდეგი:

1. მონასტრის სტრუქტურისა და მისი კედლის მხატვრობის გრძელვადიანი რესტავრაციისთვის საჭირო ადექვატური რესურების უზრუნველყოფა;
2. კონსერვაციისა და რეკონსტრუქციის ნებისმიერი სამუშაოსთვის დოკუმენტაციის წარმოების ნათელი სისტემის შემუშავება;
3. სამ განზომილებიანი გაზომვისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა, მონასტერში სხვადასხვა შენობის საერთო სტაბილობის შესახებ უკეთესი წარმოდგენის შექმნის მიზნით;
4. ობიექტისთვის მართვის ისეთი სტრუქტურის დამტკიცება და განხორციელება, სადაც გაწერილია მართვაში ჩართული სხვადასხვა ერთეულისა და ორგანიზაციის ნათელი პასუხისმგებლობები;
5. ობიექტისთვის საკორდინაციო კომიტეტის ჩამოყალიბება ძირითადი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების მონაწილეობით;
6. მექანიზმის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის მართვის გეგმისთვის ან მისი იმ ნაწილისთვის, რომელიც ეხება დაგეგმვის პროცესებს, სტატუსის მინიჭებას;
7. რაც შეიძლება მოკლე ვადაში საპატრიარქოს მიწის უფლებების რეგისტრაცია მიწასთან დაკავშირებული დავების თავიდან აცილების მიზნით;
8. უმოკლეს ვადებში და რაიმე ვალდებულებების აღებამდე მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისთვის, ICOMOS-ის მიერ განხილვის მიზნით აკადემიის გვერდით აღმოჩენილი მარნის არეალის გადახურვის შესახებ წინადადებების შესახებ სრული დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება ვიზიტორებისთვის ობიექტზე წვდომის ახალი ტიპის მოწესრიგება და ბერებისთვის ახალი საცხოვრებელი ტერიტორიის მდებარეობა, შერჩეული ტერიტორიის არქეოლოგიური პროფილის ჩათვლით, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელების საოპერაციო სახელმძღვანელოს პუნქტი 172-ის შესაბამისად,
9. მონიტორინგის ინდიკატორების დამატება გამორჩეული უნივერსალური ღირებულების ასახვის მიზნით;

6. <u>მოითხოვს</u> სახელმწიფო მხარისგან რომ 2019 წლის 1 დეკემბრისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარედგინოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციების აღსრულების შესახებ ანგარიში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე განხილვის მიზნით.